

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების
მონიტორინგის მექანიზმები

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N1, 20/02/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 22/02/2019 წ. N ბ/1-01/07 ბრძანებით.

1. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. ის ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება მიზნად ისახავს:

სტრატეგიული გეგმის განხორციელების, ასევე მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესებას წარსული გამოცდილების გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფართო საზოგადოების წინაშე. შეფასება წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლიმენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.

3. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება ფოკუსირებული იქნება შემდეგ ძირითად საკითხებზე:

♦ **რელევანტურობა:** არის თუ არა უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები კვლავ რელევანტური არსებული მოთხოვნებისა და პრობლემებისადმი?

♦ **ეფექტურობა:** რამდენად უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმა დასახული მიზნების მიღწევას? რა ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ფაქტორები ახდენს გავლენას სასურველი შედეგის მიღწევაზე?

♦ **ეფექტიანობა:** ხორციელდება თუ არა სტრატეგიული გეგმა დროულად და ხელსაყრელი ფორმით?

♦ **გავლენა:** რა ცვლილებები გამოიწვია სტრატეგიული გეგმის განხორციელებამ?

4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახური.

5. მონიტორინგი მიზნად ისახავს გარემო ცვლილებებთან დროულ ადაპტირებას, ხარვეზების დაგროვებისაგან თავის არიდებას, მიმდინარე ორგანიზაციული პრობლემების აღმოფხვრას.

6. მონიტორინგი მოიცავს შეფასების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ინდიკატორებს, რომელთა მეშვეობითაც, ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისაგან მოპოვების გზით პერიოდულად - სემესტრში ან წელიწადში ერთხელ - დგინდება სტრატეგიული მიზნების მიღწევის დონე.

7. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ინფორმაციას წარუდგენს ხარისხის სამსახურს სპეციალური ანგარიშის სახით (ფორმა იხ. დანართი 4).

8. შეფასება ხდება სამიზნე ნიშნულის არსებული მდგომარეობის ნიშნულთან შედარების გზით ფორმა S1-ის მეშვეობით(ფორმა იხ. დანართი 1) შედარების პროცესში გამოვლენილი ცდომილება აღიწერება პროცენტულ მაჩვენებლებში. სამიზნე ნიშნულიდან გადახრის დასაშვებ დონედ თითოეული მიზნისთვის განისაზღვრა 10%. სასწავლო უნივერსიტეტი ინარჩუნებს სტატუს-კვოს მდგომარეობას, თუ სხვაობა არ აღემატება 10%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს. (ბ), (გ) და (დ) ეტაპებისთვის გამოიყენება შეფასების ფორმა S2 (დანართი 2), ხოლო (ე) ეტაპისთვის - შეფასების ფორმა S3 (დანართი 3). სტრატეგიული მიზნების მიღწევის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

9. მონიტორინგისა და შედეგებზე რეაგირების სისტემა შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- 1) ორგანიზაციული მზადყოფნის შემოწმება;
- 2) ძირითადი ინდიკატორების შერჩევა;
- 3) არსებული მდგომარეობის შესწავლა შერჩეული ინდიკატორების მიხედვით;
- 4) მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვა და განხორციელება;
- 5) მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- 6) უკუკავშირი.

ეტაპი ა: პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ხარისხის მართვის სამსახურს წარუდგენენ დეტალურ წერილობით ანგარიშს (დანართი 4) დადგენილ ვადებში;

ეტაპი ბ: ხარისხის მართვის სამსახური გარდაქმნის მიღებულ ინფორმაციას სამიზნე ნიშნულებად. ახორციელებს ურთიერთშედარებით ანალიზს და ადგენს შესწორების შეტანის გამოვლენის საჭიროებას; (დანართი 2)

ეტაპი გ: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ შესრულების ან/და ვადა გადაცილების შემთხვევაში, აკეთებს შესაბამის ანალიზს შეფერხების წარმომშობი მიზეზების დასადგენად და შეიმუშავებს გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობას; (დანართი 3).

ეტაპი დ: ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიშს;

ეტაპი ე: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად განსაზღვრავს რეაგირების ღონისძიებებს და იძლევა შესაბამის განკარგულებებს სტრუქტურული ერთეულებზე. რეაგირების ფორმად შესაძლოა იყოს არსებული სტრატეგიული გეგმის ადეკვატური კორექცია შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით.

მონიტორინგსა და შეფასებას შედეგად მოხდება:

- ◆ სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
- ◆ არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
- ◆ მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

დანართი 1:

ფორმა S1: შეფასების ინდიკატორის სამიზნე ნიშნული			
შეფასების ინდიკატორი	შეფასების ინდიკატორის სამიზნე ნიშნულის აღწერა	საზომი ერთეული	სამიზნე რაოდენობა
1.			
2.			

დანართი 2.

ფორმა S2: ურთიერთშედარებითი ანალიზი			
სტრატეგიული მიზანი/განსახორციელებელი აქტივობა	სამიზნე ნიშნული		%–ული გადახრა
	დაგეგმილი	ფაქტობრივი	
1.			
2.			

დანართი 3.

ფორმა S3: რეაგირება	
სტრატეგიული მიზანი/განსახორციელებელი აქტივობა	
%–ული გადახრის სიდიდე:	
დეტალურად გაანალიზეთ, რამ გამოიწვია ცდომილება?	
1.	
2.	
აღწერეთ ცდომილების გამომწვევი მიზეზები	
1.	
2.	
ჩამოაყალიბეთ რეაგირების მექანიზმები/განსახორციელებელი საოპერაციო აქტივობები კონკრეტული ვადების მითითებით	
1.	
2.	

დანართი 4.

ფორმა R1: სტრუქტურული ერთეულის ყოველწლიური/ყოველკვარტალური ანგარიში
სტრატეგიული მიზანი/განსახორციელებელი აქტივობა:
1. დეტალურად აღწერეთ ის შედეგები, რომელიც უნდა მიგელოთ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მიხედვით მოცემული მომენტისთვის
2. დეტალურად აღწერეთ ის შედეგები, რომელიც მიღებული გაქვთ მოცემული მომენტისთვის
3. განახორციელეთ გაწეული საქმიანობის თვითშეფასება/რამდენად კმაყოფილი ხართ მიღებული შედეგებით?
4. რა ტიპის პრობლემებს წააყდით მუშაობის პროცესში და რა სირთულებთან ან გამოწვევებთან არის დაკავშირებული შედეგების მიღება დადგენილ ვადებში?
5. თქვენი აზრით, რამდენად შესრულებადია სტრატეგიული გეგმა/სამოქმედო გეგმა დარჩენილ დროში და რა უნდა გაკეთდეს, გამოსწორდეს, ან გაუმჯობესდეს?